

ა.(ა).ი.პ .ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების
2020 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებაში“ 183 თანამშრომელია , მათ შორის, 75 მწვრთნელი.

მიმდინარეობს მზადება სპორტის 20 სახეობაში. სასწავლო-ჯგუფების რაოდენობა 67-ია, სპორტსმენთა რაოდენობა-1 213.

ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების“ 2020 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 1 250 000 ლარს. ხარჯი შეადგენს 1 086 046. 75 ლარს. მათ შორის:

ხელფასი - 953 535 ლარი

მივლინება - 997 ლარი

ოფისის ხარჯები - 131 514. 75 ლარი

აღნიშნული თანხის ფარგლებში 2020 წელს განხორციელდა:

- კატრიჯების შეძენა - დატუმბვა -22 ლარი
- კავშირგაბმულობის ხარჯი - 4 716.79 ლარი
- კომუნალური ხარჯი - 17 536.82 ლარი
- საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი - 9 780. 58 ლარი
- შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი- 2 240 ლარი
- ოფისისათვის სანიტარული საქონლის და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი - 2 815.7 ლარი
- ოფისისთვის სამეურნეო საქონლის შეძენის ხარჯი - 391.40 ლარი
- სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი - 94 011.46 ლარი
 - სპორტული ღონისძიების ორგანიზების ხარჯი-2 653 ლარი
 - სასწავლო-საწვრთნო შეკრების ხარჯი-14 400 ლარი
 - სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯი-21 877.46 ლარი
 - ფულადი ჯილდო - 19 050 ლარი
 - სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული - 36 031 ლარი

2020 წელს 11 თვის მიხედვით ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 1 110

ლარი, რაც შეეხება ხარჯს- 1172.50 ლარი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურებას წარმოადგენს.

მიმდინარე წელს ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების სპორტულმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო, რესპუბლიკურ და რეგიონალურ ჩემპიონატებზე, პირველობებსა და ტურნირებში.

ჩატარდა ადგილობრივი სპორტული ღონისძიებები. ოზურგეთელმა სპორტსმენებმა აღნიშნულ შეჯიბრებებზე მოიპოვეს 26 მედალი, მათ შორის: 6 ოქრო, 8 ვერცხლი, 12 ბრინჯაო. აღსანიშნავია, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სპორტსმენების გამოსვლები ევროპის და საერთაშორისო ჩემპიონატებზე, ამათგან 1 ევროპის პრიზიორი (ვერცხლი), ხოლო 2 საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული გახდა.

ევროპის ჩემპიონატი-1 ვერცხლი და საერთაშორისო ჩემპიონატი-2 ოქრო.

სპორტსმენთა შედეგები სპორტულ ღონისძიებებზე (ევროპის, საერთაშორისო, რესპუბლიკურ და რეგიონალური ჩემპიონატები, პირველობები და ტურნირები)

№	თარიღი	სახეობა	ქალაქი	ღონისძიების დასახელება	შედეგი		
					ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო
1	18/01	ტაიკვონდო	ბათუმი	კიოკუმინკაი კარატეში აჭარის ჩემპიონატი			3
2	19/01	ბ/რ ჭიდაობა	საფრანგეთი, ნიცა	ანრი დეგლანის" სახელობის 46-ე საერთაშორისო გრან-პრის გათამაშება	1		
3	1-2 /02	მძლეოსნობა	თბილისი	თბილისის ღია ჩემპიონატი (დიდები)		2	3
4	4-6 /02	ფარიკაობა	თბილისი	საქართველოს პირველობა		1	1
5	6/02	ფეხბურთი	თბილისი	„ ლაბუჩას თასი-2020“ გათამაშება		1	
6	8-9/02	მძლეოსნობა	თბილისი	საქართველოს ზამთრის ღია ეროვნული ჩემპიონატი	2	2	1
7	12 /02	ბ/რ ჭიდაობა	იტალია, რომი	ევროპის ჩემპიონატი		1	
8	21-23/02	ტაიკვონდო	აზერბაიჯანი, ბაქო	საერთაშორისო ტურნირი	1		1
9	22/02	მძლეოსნობა	თბილისი	საქართველოს ზამთრის ღია ახალგაზრდული ჩემპიონატი	1		1
10	23/02	ფეხბურთი	ქობულეთი	ამხანაგური მათჩი	1		

11	5-7/03	ბ/რ ჭიდაობა	გურჯაანი	საქართველოს პირველობა(ჭაბუკები)		1	2
					6	8	12

ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება სისტემატურად ატარებს პირველობებს სპორტის სხ/სხ სახეობებში, გამარჯვებული სპორტსმენებით კომპლექტდება ნაკრები გუნდები, რათა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახეობის ჩემპიონატებსა და ტურნირებში. გამარჯვებული სპორტსმენები ჯილდოვდებიან სიგელებითა და მედლებით.

გაერთიანებაში მუშაობენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე მწვრთნელები. 5 მწვრთნელს მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება. სპორტის სხ/სხ სექციებში ირიცხება პერსპექტიული სპორტსმენები, რომლებიც ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებზე ღირსეულად ასპარეზობენ.

ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო რეჟიმის გამო, რომელიც კორონავირუსის გავრცელების საფრთხეს უკავშირდება, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება“ და ამ გაერთიანებაში შემომავალი სპორტული დარბაზები და სექციები დროებით მომხმარებლისთვის დაიკეტა.

შესაბამისად, გადაიდო კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ადგილობრივი, რესპუბლიკური და საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებები. აღნიშნულმა გარემოებამ რა თქმა უნდა უარყოფითი გავლენა მოახდინა სპორტულ შედეგებზე. ასევე შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო ვერ ფუნქციონირებს ორგანიზაციის ბაზაზე არსებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი (სატრენაჟორო დარბაზი) და საცურაო აუზი, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ორგანიზაციის შემოსავლები.

დეკემბრის თვეში ორგანიზაციის ხელშეწყობითა და დაფინანსებით დაგეგმილია ჭადრაკში გურიის ჩემპიონატის ჩატარება.

სამომავლოდ ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება“ კვლავ წარმატებით გააგრძელებს მუშაობას მომავალი თაობის ჯანსაღი წესის დანერგვისთვის, ზრუნვას სპორტსმენტთა პროფესიული დონის ამაღლებისთვის და მაღალი სპორტული მიღწევებისთვის.

ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი:

გ.შაფაქიძე